


საერთო ფართი - 1173.118²

დასახელება

საზოგადოებრივი კოლეჯი „თბილისის ხელოვნების კოლეჯი“

591 41 37 63 სკოლის ღირებულება
1311

-  - კედელი
-  - ოთახები
-  - ღერეფანი, რეპრეზენტაცია
-  - მიწისფალი

სსიპ

 საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
მ. ალექსიძის 1. შენობა-ნაგებობა №1. II სართული
თბილისი
საქართველო
2600
ტ.: (+995 32) 2 200 220; 2 200 233; www.esida.ge

ნახაზის დასახელება

დამხმარე შენობის გეგმა ნიშნულზე -0.900

ნახაზის სტატუსი

აზომვითი ნახაზი


სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფრ.
მერაბ ჯონიაშვილი
შეასრულა
გიორგი ჩიხლაძე
შეამოწმა
ეკატერინე სუთიძე

მასშტაბი

1:200

ფურც. №5


სტატუსი რევიზია



დასახელება

სახოგადოებრივი კოლეჯი „თბილისის
ხელოვნების კოლეჯი“


591 41 37 63 სპოლის დირექტორი
1311



ნახაზის დასახელება
მიწისპირა საბუთის გეგმა ნიშნულზე +0.00,

მასშტაბი	1:200
ფურც. №2	სტატუსი რეგისტრაცია

საერთო ფართი - 793.58 მ²



დასახელება

საზოგადოებრივი კოლეჯი „თბილისის
ხელოვნების კოლეჯი“

591 41 37 63 სკოლის ღირებულება
1311

- კედელი
- ოთახები
- ღერეფანი, რეპრეზენტაცია

სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

მ. ალექსიძის 1. შენობა-ნაგებობა №1. II სართული
თბილისი
საქართველო
2600
ტ.: (+995 32) 2 200 220; 2 200 233; www.esida.ge

ნახაზის დასახელება

I სართულის გეგმა ნიშნულზე +4.20

ნახაზის სტატუსი

აზომვითი ნახაზი

სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფრ.
მერაბ ჯონიასილი
შეასრულა
გიორგი ჩიხლაძე
შეამოწმა
ეკატერინე სუთიძე

მასშტაბი

1:200

ფურც. №3

სტატუსი რევიზია

საერთო ფართი - 803.7 მ²



დასახელება
საზოგადოებრივი კოლეჯი „თბილისის
ხელოვნების კოლეჯი“

591 41 37 63 სკოლის ღირებულება
1311

- კედელი
— ოთახები
— ღერეფანი, რეპრეზენტაცია

სსიპ
საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
მ. ალექსიძის 1. შენობა-ნაგებობა №1. II სართული
თბილისი
საქართველო
2600
ტ.: (+995 32) 2 200 220; 2 200 233; www.esida.ge

ნახაზის დასახელება
II სართულის გეგმა ნიშნულზე +8.40




ნახაზის სტატუსი
აზომვითი ნახაზი

სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფრ.
მერაბ ჯონიასილი
შეასრულა
გიორგი ჩიხლაძე
შეამოწმა
ეკატერინე სუთიძე

მასშტაბი
1:200

ფურც. №4 სტატუსი რევიზია


საერთო ფართი - 731.88 მ²



დასახელება

საზოგადოებრივი კოლეჯი „თბილისის
ხელოვნების კოლეჯი“

591 41 37 63 სკოლის ღირებულება
1311

-  - კედელი
-  - ოთახები
-  - ღერეფანი, რეპრეზენტაცია

სსიპ

 საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

მ. ალექსიძის 1. შენობა-ნაგებობა №1. II სართული
თბილისი
საქართველო
2600
ტ.: (+995 32) 2 200 220; 2 200 233; www.esida.ge

ნახაზის დასახელება

მეორე სართული, I სართული

ნახაზის სტატუსი

აზომვითი ნახაზი


სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფრ.
მერაბ ჯონიაშვილი
შეასრულა
გიორგი ჩიხლაძე
შეამოწმა
ეკატერინე სუთიძე

მასშტაბი

1:200

ფურც. №6

სტატუსი რევიზია



ექსპლიკაცია:

ხელოვნების კოლექციის ტერიტორიის საკადასტრო
წითელი ხაზს გარშემო არსებული საღემონტაჟო
მოედნის ფართობი:

1. წიგნების გამხირობა - 175 მ²
2. დაცვის პოლიციის და საგანგებო
გაყვანის ეზოში - 135 მ²
3. საცხოვრებელი სახლის ეზოში - 40 მ²

შენიშვნები:

1. წინამდებარე ნახაზი „მო-1“ ინტეგრირებული გეგმით გარშემოწერილი და
ნახაზი „მო-2“-თან ერთად.
2. წინამდებარე საღემონტაჟო გეგმებმა დამუშავებულია პირდაპირი და
საწარმოო კორპუსების მიწის ნაკვეთი ნაწილის დამუშავების პერიოდისათვის.
3. საღემონტაჟო გეგმებმა სამუშაოები ხორციელდება:
ა) პირდაპირი კორპუსი - პნეუმოტექნიკური ამწის დახმარებით,
ტვირთამწოდებით 25 ტნ.
ბ) საწარმოო კორპუსი - პნეუმოტექნიკური ამწის დახმარებით,
ტვირთამწოდებით 25 ტნ.
4. საღემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები მოცემულია გეგმით
გარშემოწერილი.
5. არსებული საგანგებო გაყვანის და დაცვის პოლიციის ეზოებში უსაფრთხოების
მიზნით სახიფათო ზონის საზღვრებში ეწყობა დროებითი შეზღუდვა,
რაც გამოირიცხებს აღმართის მოხვედრას სახიფათო ზონაში.
6. გეგმით მოსწავლეთათვის უსაფრთხოების მიზნით აწარმოების გამხირობა
(ტრეტუარები) სახიფათო ზონის საზღვარი შემოიხაზვდება დროებითი
ლოგით და მოეწყობა დროებითი დახმარებით გასასვლელი გეგმით მოსწავლეთათვის.
8. ყველა საღემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნაწ-III-4-80*-ის მოთხოვნების შესაბამისად.

პირდაპირი აღნიშვნები:

- არსებული შენობა-ნაგებობები
- პირდაპირი და საწარმოო
საღემონტაჟო კორპუსი
- ტერიტორიის საკადასტრო
წითელი ხაზი
- დროებითი შენობა-ნაგებობები
- I

ლია სასაწყობო მოედანი
(გეგმით გათვალისწინებული
მანქანების)
- II

ლია სასაწყობო მოედანი
(სამშენებლო ნარჩენების)
- ტრანსპორტის მოძრაობის
მიმართულება
- დროებითი დახმარებით გასასვლელი
- დროებითი ლოგა
- პნეუმოტექნიკური ამწი
- პნეუმოტექნიკური ამწის
სვლის ლინია
- X

ამწის კიბურა ღრუბი

დროებითი შენობა-ნაგებობების
ექსპლიკაცია:

- I - ღია სასაწყობო მოედანი (გეგმით
გათვალისწინებული მანქანების)
- II - ღია სასაწყობო მოედანი
(სამშენებლო ნარჩენების)
- III - სამუშაოთა მოწყობის ღრუბი
- IV - სასაწყობო მოედანი დანიშნულების შენობა
- V - პნეუმოტექნიკური ამწი
- VI - დროებითი ლოგა
- VII - დროებითი დახმარებით გასასვლელი

დასახელება
საზოგადოებრივი კოლექტი „თბილისის
ხელოვნების კოლექტი“

სსიპ
 საგანგებო და სამშენებლო
ინჟინერების განყოფილების სააგენტო
მ. ალექსიძის 1. შენობა-ნაგებობა №1. II სართული
თბილისი
საქართველო
2600
ტ.: (+995 32) 2 200 220; 2 200 233; www.esida.ge

ნახაზის დასახელება

საღემონტაჟო გეგმებმა

ნახაზის სტატუსი


ტექნიკური დოკუმენტაცია

სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფრ.
მირა ჯონიასილი
შეასრულა
ტარიელ სტუდია

მასშტაბი

1:200
ფურც. №1 სტატუსი რევიზია

საღმემონტაჟო სქემა მ 1:200
(ძირითადი კორპუსი)



შენიშვნები:

- წინამდებარე ნახაზი „მრ-2“ იხილეთ განმარტებით გარათთან და ნახაზ „მრ-1“-თან ერთად.
- საღმემონტაჟო სქემები დამუშავებულია კოლეჯის ძირითადი და საწარმოო კორპუსების მიწისზედა ნაწილის დემონტაჟის ტიპიური პროცესისათვის.
- ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად აღბილზე უნდა დაჯდეს თითოეული საღმემონტაჟო ანაკრები კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობა, წონა, ისრის შვერისა და კაპის აწევის საჭირო მაქსიმალური სიმაღლეები.
- საღმემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები მოცემულია განმარტებით გარათში.
- ყველა საღმემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნფაწ-III-4-80*-ის მოთხოვნების შესაბამისად.
- დემონტაჟის სახიფათო ზონების საზღვრები დაჯდეს აღბილზე.

დასახელება

საზოგადოებრივი კოლეჯი „თბილისის ხელოვნების კოლეჯი“

სსიპ



საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

მ. აღმშობის 1. შენობა-ნაგებობა №1. II სართული
თბილისი
საქართველო
2600
ტ.: (+995 32) 2 200 220; 2 200 233; www.esida.ge

ნახაზის დასახელება

საღმემონტაჟო აქემები

ნახაზის სტატუსი

ტექნიკური დოკუმენტაცია

სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფრ.
მერაბ ჯონიაშვილი
შეასრულა
ტარიელ სტუშა


მასშტაბი

1:200

ფურც. №2

სტატუსი რევიზია

საღმემონტაჟო სქემა მ 1:200
(საწარმოო კორპუსი)



სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო

თბილისის ხელოვნების კოლეჯის ძირითადი და საწარმოო
კორპუსების დემონტაჟი
(ა. წერეთლის გამზირი №134)

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2016 წელი

სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო

თბილისის ხელოვნების კოლეჯის ძირითადი და საწარმოო
კორპუსების დემონტაჟი
(ა. წერეთლის გამზირი №134)

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსი  მ. ჭონიაშვილი

ორგანიზაციის პროექტის ავტორი



ტ. სტურუა

თბილისი 2016 წელი

შემადგენლობა

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“

ნახაზი „მო-2“ - „სადემონტაჟო სქემები“

განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

თბილისის ხელოვნების კოლეჯის ძირითადი და საწარმოო კორპუსების დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ.

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების(სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1.სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“

3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“
ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

დემონტაჟის განმახორციელებელმა სამშენებლო ორგანიზაციამ კოლეჯის ძირითადი და საწარმოო კორპუსების საძირკვლების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა უზრუნველყოს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ კოლეჯის სადემონტაჟო ძირითადი და საწარმოო კორპუსების საძირკვლებისა და მომიჯნავედ განლაგებული სხვა არსებული შენობა-ნაგებობების საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობისა და განლაგების დონეების შესწავლა, წინასაპროექტო დასკვნებისა და რეკომენდაციების წარმოსადგენად.

შესწავლას ექვემდებარება ასევე შენობების მომიჯნავე ნაწილების კონსტრუქციული პირაპირება.

დამკვეთის მიერ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობა სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

თბილისის ხელოვნების კოლეჯი მდებარეობს ქ. თბილისში, დიდუბის რ-ნში, ა. წერეთლის გამზირის №134-ში.

კოლეჯის არსებული ძირითადი და საწარმოო კორპუსების ტექნიკური მდგომარეობა შესწავლილ იქნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის მიერ (საექსპერტო დასკვნები №000368815 და №005233114).

საექსპერტო დასკვნის თანახმად, ძირითადი კორპუსი არის სამსართულიანი. აშენებულია გასული საუკუნის 30-იან წლებში. პირველადი პროექტით იყო 2 სართულიანი, სართულების სიმაღლით 3.8მ, რომელსაც მოგვიანებით დააშენდა ერთი სართული. შენობა ძირითადად არის მართკუთხედის ფორმის, ზომებით 58x10მ და ტორსულ მარჯვენა და მარცხენა კედლებთან მიშენებულია ერთსართულიანი ფლიგელები ზომით 17x17მ და 12x7მ.

შენობა არის კორიდორული ტიპის კონსტრუქციული სქემის. მზიდი კედლები- ტუფის ქვისგან და ბეტონის მცირე ბლოკებისგან. შენობის I სართულზე იატაკი მოწყობილია ხის კოჭებზე, ხოლო ზედა სართულებზე-ლითონის ორტესებრ კოჭებზე.

დადგინდა, რომ I სართულის იატაკის ხის კოჭები მთლიანად ამორტიზებულია ლპობის შედეგად. ზედა სართულების სართულშუა გადახურვების კონსტრუქცია ხასიათდება მაღალი მერხეობით. ტუფის ბლოკებით ნაგებ წყობაში აღინიშნება ნაკერებიდან ხსნარის გამოფიტვა, ბზარები ფანჯრების რაფისქვეშა წყობაში და ქვის წყობით შესრულებული ზღუდარების კუთხეებში. III სართულის კაპიტალურ კედლებში დაფიქსირდა მრავლობითი ბზარი და წყობის რღვევა როგორც

კედლების გადაკვეთის კვანძებში, ისე კედლის ყრუ ნაწილებში.
რამდენიმე ადგილას გამოვლინდა III სართულის გადახურვის დონეზე
მოწყობილი მონოლითური რკ/ბ სარტყელის წყვეტა.

ასევე დარღვეულია სეისმომედეგი მშენებლობის ნორმების
მოთხოვნები, ასევე ეზოს მხარეს არსებული ფლიგელები შენობის
ძირითად ნაწილთან მიშენებულია ანტისეისმური ნაკერების მოწყობის
გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი კორპუსის ტექნიკური
მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია.

საწარმოო კორპუსი არის ერთსართულიანი, სამმალიანი, ზომებით
გეგმაში 44,5 მ x 24მ, სიმაღლით 5,5მ. კონსტრუქციული სქემა
გადაწყვეტილია არასრული კარკასის ვარიანტში და შედგება გარე
პერიმეტრზე მოწყობილი კაპიტალური კედლებისგან და შენობის
შიგნით ანაკრები რკ/ბეტონის კარკასის ნაწილისგან. შემომზღუდავი
კედლები ნაშენია მცირე პემზაბლოკით. სვეტებს შორის გრძივი ბიჯი -6მ,
განივი მიმართულებით -12მ.

რკ/ბეტონის სვეტებზე მოწყობილია ორქანობიანი რკ/ბეტონის კოჭები,
რომლებზეც დამონტაჟებულია ПКЖ-ს ტიპის გადახურვის ფილები.

შენობის განაპირა ნმ სიგრძის ორ მარცხენა და მარჯვენა მალში
გადახურვის ფილები დამონტაჟებულია ფოლადის ორტესებრ კოჭებზე,
რომლებიც ერთი ბოლოთი ეყრდნობიან რკ/ბეტონის სვეტების
კონსოლურ გამოწვევებს, ხოლო მეორე ბოლოთი გარე კედლების
წყობას. შენობას გააჩნია ბრტყელი სახურავი, დაფარული ლინოკრომის
ბურულით.

აღმოსავლეთის მხარეს გრძივი კედლის გარე და შიგა ზედაპირები
ცალკეულ ადგილებში დანესტიანებულია.

მარცხენა მალში ყველა კოჭი საგრძნობლად კოროზირებულია, რაც მათი ფიზიკური ცვეთის 40%-ზე მიუთითებს. აღნიშნულ მალში გადახურვის ПКЖ-ს ტიპის ყველა ფილაში დაზიანებულია ფილის თაროები, ჩამოშლილია ბეტონის დამცავი შრე და კოროზირებულია გაშიშვლებული არმატურის ღეროები. ანალოგიური დარღვევები აღინიშნება მარჯვენა მალში დამონტაჟებულ გადახურვის ფილების ნაწილშიც.

ძირითადი კორპუსის მომიჯნავედ განლაგებულია არსებული 3 სართულიანი საცხოვრებელი სახლის ნაწილი, ასევე კოლეჯის არასადემონტაჟო კორპუსის გრძივი მალის მომიჯნავედ განლაგებულია სადემონტაჟო საწარმოო კორპუსის ნაწილი.

დემონტაჟის სამუშაოების წარმოებისას 3 სართულიანი საცხ. სახლისა და კოლეჯის არასადემონტაჟო კორპუსის საძირკვლებისა და სხვა კონსტრუქციების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია მოხდეს მომიჯნავე ადგილებში განლაგებული (სადემონტაჟო და არასადემონტაჟო შენობების) საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობისა და განლაგების დონის შესწავლა, ასევე მომიჯნავე ნაწილების კონსტრუქციული პირაპირების შესწავლა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

ეს შესწავლა უნდა მოხდეს სადემონტაჟო კორპუსების საძირკვლების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

თბილისის ხელოვნების კოლეჯის ძირითადი და საწარმოო კორპუსების დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 4 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა-0,5 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

თბილისის ხელოვნების კოლეჯის ძირითადი და საწარმოო კორპუსების სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი-მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი-დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები(ძირითადი და საწარმოო კორპუსების დემონტაჟი).

კოლეჯის სამსართულიან (ძირითადი კორპუსი) და ერთსართულიან (საწარმოო კორპუსი)ნაწილებში სადემონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს ერთდროულად, პარალელურ რეჟიმში.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

- 1)დროებითი ღობის მოწყობა ა.წერეთლის გამზირზე და მომიჯნავე ეზოებში (საბავშვო ბაღის ,დაცვის პოლიციის და 3 სართულიანი საცხ. სახლის) გოსტ 23407-78-ის თანახმად და დროებითი დახურული გასასვლელის (ფიცარნაგით) მოწყობა ფეხით მოსიარულეთათვის ა.წერეთლის გამზირზე.
- 2)დროებითი შენობის და სასაწყობო მოედნების მოწყობა.
- 3)შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან.
- 4)მტვრისგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებების განხორციელება.
- 5)სახიფათო ზონების შემოღობვა; ამკრძალავი, გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა.

ძირითად პერიოდში ხორციელდება კოლეჯის სამსართულიანი (ძირითადი კორპუსი) და ერთსართულიანი (საწარმოო კორპუსი) შენობების სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგ ეტაპებად:

ა)ერთსართულიანი საწარმოო კორპუსის:

Iეტაპი -სახურავის დემონტაჟი, მიშენებული ფლიგელის დემონტაჟი

IIეტაპი -I სართულის დემონტაჟი

III ეტაპი- საძირკვლების დემონტაჟი

ბ)სამსართულიანი ძირითადი კორპუსის:

Iეტაპი -სახურავის დემონტაჟი, მიშენებული ერთსართულიანი ნაწილების დემონტაჟი

IIეტაპი- III სართულის დემონტაჟი

IIIეტაპი - II სართულის დემონტაჟი

IVეტაპი- I სართულის დემონტაჟი

Vეტაპი- საძირკვლების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ , „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“ ელემენტური დაშლისა და გამსხვილებული ბლოკებით დაშლის მეთოდებით, დემონტაჟის ტექნოლოგიის შესაბამისად.

თითოეულ სადემონტაჟო სართულზე სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა)კომუნიკაციების,იატაკების,შეკიდული ჭერების დემონტაჟი

ბ) ტიხრების, კარებებისა და ფანჯრების დემონტაჟი

გ) მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი სამსართულიანი ნაწილის (ძირითადი კორპუსი) თითოეულ სართულზე სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) სახურავისა და გადახურვის ხის კონსტრუქციების და კიბის დემონტაჟი

ბ) ლითონის ორტესებრი და ხის კოჭების დემონტაჟი

გ) მზიდი კედლების, ზღუდარების და ანტისეისმური სარტყელის დემონტაჟი.

დ) საძირკვლების დემონტაჟი.

საწარმოო კორპუსის მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. გადახურვის ПКЖ-ფილების დემონტაჟი
2. გადახურვის ორქანობიანი რკ/ბეტონის კოჭების და ლითონის კოჭების დემონტაჟი; რკ/ბეტონის რიგელების დემონტაჟი.
3. რკ/ბეტონის სვეტების და მზიდი კედლების დემონტაჟი
4. საძირკვლების დემონტაჟი

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

ძირითადი და საწარმოო კორპუსების სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან ყველა შიგა კომუნიკაცია (დენი, წყალი, კანალიზაცია, გაზი და სხვა).

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა, განლაგება და მაქსიმალური წონა.

მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ ანუ „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“ შენობის სართულების მიხედვით, ამასთანავე ქვედა სართულზე დემონტაჟის დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვერტიკალურ სიბრტყეში მისი ზედა სართული მთლიანად დემონტირებულია.

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

დემონტაჟის მწარმოებელი ორგანიზაციის მიერ ადგილზე დაზუსტდეს ანაკრები მზიდი კონსტრუქციების ელემენტური დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. სართულებზე პირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ანაკრები კონსტრუქციები დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

საინჟინრო ქსელების დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩებით.

იატაკების დემონტაჟი უნდა მოხდეს ელემენტურად ხელით, მცირე მექანიზაციისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.

ტიხრების, კარებების, ფანჯრების, სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ელემენტური დაშლით.

ქვის და ბლოკის მზიდი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი ხორციელდება ორი მეთოდით:

1) ელემენტური დაშლის გზით- მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი ქვის და ბლოკის კედლების დემონტაჟი.

2) გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის გზით- მეორადი გამოყენებისთვის უვარგისი ქვის და ბლოკის კედლების და ტიხრების დემონტაჟი.

ძირითადი კორპუსის II, III სართულებზე აკრძალულია კედლების და ტიხრების დანგრევა პირდაპირი მონგრევის გზით (გადახურვის ქვედა კონსტრუქციების შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად).

ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე კი შესაძლებელია კედლებისა და ტიხრების დანგრევა პირდაპირი მონგრევის გზით, მექანიზმების გამოყენებით.

სამირკვლების მონგრევა ხორციელდება ხელით, პნევმატური ჩაქუჩების გამოყენებით და ასევე „კოდალას“ გამოყენებით.

აუცილებლობის შემთხვევაში (გადაწყდეს ადგილზე) შესაძლებელია I სართულის კედლების და ტიხრების დასანგრევად გამოვიყენოთ „ემვიანი“ ექსკავატორი ე.წ. „კოდალა“.

გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის შემთხვევაში ამ ბლოკების დემონტირება და ტრანსპორტირება მიწამდე ხორციელდება პნევმოთვლიანი ამწით .

გადახურვის ПКЖ-ფილების დემონტაჟი ხორციელდება ელემენტური დაშლის მეთოდით შემდეგნაირად:

1)ხდება გადახურვის კონსტრუქციის პირაპირებისა და სარტყელების ბეტონის შრის დაშლა ხელით,სანგრევი ჩაქუჩით.

2)სარტყელის და პირაპირების ლითონის დეტალების ჩაჭრის შემდეგ განთავისუფლებული კონსტრუქცია პნევმოთვლებიანი ამწით ბაგირჩამჭიდების საშუალებით დემონტირდება სასაწყობო ადგილზე ან ავტომანქანაზე (გასატანად).

რკ/ბეტონის კოჭების და რიგელების დემონტაჟი ხორციელდება ელემენტური დაშლის გზით:

1)ხდება კონსტრუქციის ორივე მხარის კვანძური შეერთებების გაშიშვლება ნალესისგან

2)ელ.ჩაქუჩით ხდება კონსტრუქციის ორივე მხარეს ბეტონის შრის დაშლა და ლითონის დეტალების გაშიშვლება კვანძურ შეერთებებში.

3)ხდება კონსტრუქციის ლითონის დეტალების კვანძური შეერთებების ჩაჭრა ორივე მხარეს და კონსტრუქციის ჩამოღება პნევმოამწით. მთელი ამ სადემონტაჟო ოპერაციის დროს კონსტრუქციის ჩამოვარდნის თავიდან აცილების მიზნით კონსტრუქცია დაჭერილია ლითონის ბაგირჩამჭიდებით, ამწის მიერ.

რკ/ბეტონის ანაკრები სვეტების ელემენტური დემონტაჟი სწარმოებს შემდეგნაირად:

1)ხდება სვეტის კონსტრუქციის დროებითი დაჭერა და ბეტონის კვანძური შეერთებების დაშლა და არმატურის კარკასის გაშიშვლება.

2)ხდება სვეტის კონსტრუქციის დაჭერა ბაგირჩამჭიდებით ამწის მიერ, არმატურის კარკასის ჩაჭრა და სვეტის დემონტაჟი ამწის მიერ.

სამშენებლო ნაგვის აღება ხორციელდება ექსკავატორით ჩამჩის ტევადობით 0.5მ³. ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით.

ობიექტის მეპატრონის გადაწყვეტილების შემთხვევაში მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალები, დეტალები და კონსტრუქციები დასაწყობდება დროებით სასაწყობო მოედნებზე.

კოლეჯის ძირითადი კორპუსის სადემონტაჟო სამუშაოები (ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი; კედლების გამსხვილებული ბლოკების დემონტაჟი; მძიმე დეტალებისა და ნაკეთობების დემონტაჟი; ვარგისი მასალების ჩამოღება; სამშენებლო ნაგვის ჩამოღება და სხვ.)

ხორციელდება მოძრავი პნევმოთვლებიანი ამწის გამოყენებით, ტვირთამწეობით 25 ტნ.

კოლეჯის საწარმოო კორპუსის სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება პნევმოთვლებიანი ამწის გამოყენებით, ტვირთამწეობით 25 ტნ.

ძირითადი კორპუსის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ამწე დგას კოლეჯის შენობის შიდა ეზოში, კონტურთან მიხედვით 5.0 მ-ზე. (იხ. „სადემონტაჟო გენგეგმა“).

პნევმოამწე საწარმოო კორპუსის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას მოძრაობს კორპუსის გრძივ მალეებში (იხ. „სადემონტაჟო გენგეგმა“-ნახაზი“მო-1“).

პნევმოთვლიანი ამწე მუშაობს როგორც ისრულ, ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში. საჭიროების შემთხვევაში პნევმოამწეს შეუძლია მუშაობა კოშკურა-ისრულ შესრულებაში.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება სართულებიდან ხორციელდება დახურული ღარების და ბუნკერების მეშვეობით.

სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ - III-4-80*-ის მოთხოვნები.

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

კოლეჯის ძირითადი და საწარმოო კორპუსების სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. პნევმოთვლიანი ამწე, ტვირთამწეობით 25ტნ-1ცალი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 0.5მ³-1ცალი
3. ექსკავატორი-ემვიანი „კოდალა“-1ცალი (საჭიროების შემთხვევაში)
4. მოძრავი კომპრესორი-2ცალი
5. ავტოთვითმცლელელები-4ცალი
6. ბორტული ავტომანქანა-2ცალი
7. სპეციალიზებული ტრანსპორტი-1ცალი
8. ავტოდამტვირთავი-1ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-2კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-4ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-2ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-4ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-200მ²

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე დემონტაჟის მწარმოებელი ორგანიზაციის მიერ დეტალურად დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები და უსაფრთხოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები(დენი, წყალი, კანალიზაცია, გაზი და სხვა) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები, განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონების საზღვრები სადემონტაჟო კორპუსების კონტურიდან შეადგენს:

- 1)ერთსართულიანი ნაწილის დემონტაჟისას-3.0 მეტრს,
- 2)სამსართულიანი ნაწილის დემონტაჟისას-5.0 მეტრს.

დემონტაჟის დაწყებამდე:

- 1) ეწყობა დროებითი ღობე გოსტ 23407-78-ის თანახმად ა.წერეთლის გამზირზე და მომიჯნავე ეზოებში (3სართ.საცხოვრებელი სახლის, დაცვის პოლიციის და საბავშვო ბაღის). ა.წერეთლის გამზირზე დროებითი ღობის კონტურის გასწვრივ გარეთა მხრიდან ეწყობა დროებითი დახურული გასასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის (ფიცარნაგით). დროებითი გასასვლელის სიმაღლე-2.0 მ, სიგანე-1.0 მ.

დროებითი შემოღობვისა და დახურული გასასვლელის მოწყობის საკითხები დეტალურად გადაწყდეს უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა კოლეჯის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონებში.

დემონტაჟის სახიფათო ზონების მოცემული რადიუსები დაზუსტდეს ადგილზე.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ხელთათმანები,ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწყესის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

კოლეჯის ძირითადი და საწარმოო კორპუსების სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აკრძალულია ადამიანთა ყოფნა სახიფათო ზონებში.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე, მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს, დაემორჩილოს ამკრძალავ, გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

თითოეულ სართულზე სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია ადამიანთა ყოფნა ამ სადემონტაჟო სართულის ქვემოთ განლაგებულ სართულებზე.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელეებით ნაგავსაყრელზე.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

თბილისის ხელოვნების კოლეჯის ძირითადი და საწარმოო კორპუსების დემონტაჟი
დემონტაჟის ხანგრძლივობა-4 თვე

№	სადემონტაჟო სამუშაოთა დასახელება	ხანგრძლივობა (თვე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი			
			თვეები			
			I	II	III	IV
1	2	3	4	5	6	7
	I.მოსამზადებელი სამუშაოები					
1	დროებითი ღობის მოწყობა,დახურული გასასვლელის მოწყობა.ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა	0.5	—			
2	დროებითი შენობა-ნაგებობის მოწყობა; დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა	0.5	—			
3	შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან. მტვრისგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებები	0.5	—			
	II.ძირითადი სამუშაოები					
	ა)ძირითადი კორპუსის დემონტაჟი					
4	სახურავის დემონტაჟი	0.3	—			
5	III სართულის დემონტაჟი	0.7	—			
6	II სართულის დემონტაჟი	0.7		—		
7	I სართულის დემონტაჟი	0.7			—	
8	სადირკვლების დემონტაჟი	0.5			—	
	ბ)საწარმოო კორპუსის დემონტაჟი					
9	სახურავის დემონტაჟი	0.7		—		
10	I სართულის დემონტაჟი	1.7		—		
11	სადირკვლების დემონტაჟი	1.0			—	
12	მეორადი გამოყენების ელემენტების გატანა მოედნიდან	2.5		—		
13	სამშენებლო ნარჩენების გატანა მოედნიდან	3.0		—		